

შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

შპს მერიდიან ექსპრესი

ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისთვის, რომელიც

დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების საერთაშორისო სტანდარტის
(მსს ფასს) მიხედვით

შპს მერიდიან ექსპრესი


შსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური მდგომარეობა
ქართული ლარი

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1	635,698	695,666	590,802
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2	291,874	238,264	155,035
გადახდილი ავანსები		110,638	631	631
საგადასახადო მოთხოვნები		30,866	36,829	17,600
სასაქონლო--მატერიალური მარაგი		0	0	41
ძირითადი საშუალებები		1,823,852	1,702,212	1,524,119
არამატერიალური აქტივები		8,490	1,531	1,186
სულ აქტივები		2,901,418	2,675,133	2,289,414
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	3	88,495	53,383	15,803
საგადასახადო ვალდებულებები		0	0	0
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ		0	83	124
სხვა ვალდებულებები		0	0	0
სულ ვალდებულებები		88,495	53,466	15,927
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		32,000	32,000	32,000
გაუნაწილებელი მოგება		2,780,923	2,589,668	2,241,486
სულ საკუთარი კაპიტალი		2,812,923	2,621,668	2,273,486
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2,901,418	2,675,133	2,289,414
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები		1,069,076	971,390	764,109
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		88,495	53,466	15,927


დირექტორი:

გიორგი ქოპილაშვილი



მთავარი ბუღალტერი:

ციცინო ქოპილაშვილი

შპს მერიდიან ექსპრესი


მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

საქმიანობის შედეგები
ქართული ლარი

შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
საოპერაციო შემოსავალი	3,281,269	3,044,695
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	3,281,269	3,032,195
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	12,500
თვითღირებულება	-948,094	-878,380
საერთო მოგება	2,333,175	2,166,315
საერთო-ადმინისტრაციული ხარჯები	-1,970,333	-1,808,470
შრომის ანაზღაურება	-1,123,941	-1,051,432
ოჯარის ხარჯი	-25,398	-30,068
აქტივების ამორტიზაციის ხარჯი	-111,137	-91,497
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები 5	-709,857	-635,473
საოპერაციო მოგება	362,842	357,845
არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები	-170,206	-7,968
შემოსავალი/ხარჯი კურსთაშორის სხვაობიდან	-111,502	-42,004
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-58,704	34,036
მოგება პროცენტებისა და გადასახადით დაბეგვრამდე	192,636	349,877
მოგების გადასახადი	-1,382	-1,695
მოგება	191,254	348,182

დირექტორი:

გიორგი ქოჭილაშვილი



მთავარი ბუღალტერი:

ციცინო ქოჭილაშვილი




შპს მერიდიან ექსპრესი


მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2022	31/12/2021
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-59968	104864
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	0	0
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	0	0
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-59968	104864
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე	0	0
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	695666	590802
ფულადი სახსრები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	635698	695666

დირექტორი:

გიორგი ქოჭილაშვილი



მთავარი ბუღალტერი:

ციცინო ქოჭილაშვილი



შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ზოგადი ინფორმაცია

შპს მერიდიან ექსპრესი („კომპანია“) დაარსდა 1997 წლის 17 მარტს, მდებარეობს საქართველოში, დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დამფუძნებელი და 100 %-იანი წილის მფლობელია შპს ნიქოვანი, ს/ნ 206043033

ძირითადი საქმიანობა. საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვები, საფოსტო და საკურიერო მომსახურება, საექსპედიტორო მომსახურება.

იურიდიული მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის N 47

ფაქტიური მისამართი და ადგილმდებარეობა: საქართველო, თბილისი, ისანი-სამგორის რაიონი, ქეთევან წამებულის N 15-17

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

სააღრიცხვო პოლიტიკის მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვა.

ანგარიშგების მომზადების საფუძვლები. მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია თავდაპირველი ღირებულების პრინციპის თანახმად.

სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (GEL)

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები. ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები ფასდება თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია აკუმულირებული ცვეთით.

ცვეთა. აქტივებზე ცვეთის დარიცხვა ხორციელდება წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

მომსახურების სასარგებლო ვადა შემდეგნაირად ნაწილდება:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	10
ოფისის აღჭურვილობა	5
კომპიუტერული ტექნიკა	5
საკომუნიკაციო მოწყობილობები	3
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს საბანკო ნაშთებსა და სხვა მოკლევადიან ლიკვიდურ ინვესტიციებს, რომლებიც ადვილად კონვერტირდება გარკვეული რაოდენობის ფულის სანაცვლოდ და ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და

შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა მომსახურების მიმწოდებელი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება უნდა გადაისინჯოს, რათა განისაზღვროს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ მოთხოვნები არ არის ამოღებადი. იმ შემთხვევაში თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოიქმნება პროდუქციისა და მომსახურების შესყიდვის შედეგად, აღიარდება რეალური ღირებულებით, რომლებსაც არ ერიცხება პროცენტი და წარმოადგენენ მოკლევადიან ვალდებულებებს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის ქართული ლარი. უცხოურ ვალუტაში გამოხატული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის. ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2022
ლარი/აშშ დოლარი	2,7020

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

მომსახურების რეალიზაცია. შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მომსახურების მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა გაწეულ მომსახურებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია გაწეული მომსახურებიდან კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოდინება.
- შესაძლებელია მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ხარჯების სარწმუნოდ გაზომვა.

შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

პერსონალის შენახვისა და პერსონალთან დაკავშირებული სხვა ხარჯები. ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები და ავადმყოფობის გამო შვებულებები, ბონუსები და არაფულადი შეღავათები დარიცხულია კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი სამუშაოების შესრულების წელს.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში.

მოქმედი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

განმარტებითი შენიშვნები

1. ფული და ფულის ექვივალენტები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 1 იანვრის მდგომარეობით ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2022	01.01.2022
ფული ბაკში	632 452	679 289
ფული სალაროში	3 246	16 377
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	635 698	695 666

2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ნაშთები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო მოთხოვნები	290 965	238 213
მოთხოვნები პერსონალის მიმართ	909	51
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	291 874	238 264

შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

3. სავაჭრო ვალდებულებები

2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 1 იანვრის მდგომარეობით სავაჭრო ვალდებულებების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო ვალდებულებები	88 495	53 383
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	83	124
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	290 922	154 234

4. სხვა ადმინისტრაციული ხარჯები

სატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	147 084
სატვირთო-სატერმინალო მომსახურების ხარჯი	383 566
საპენსიო შენატანის ხარჯი	15 313
კომუნალური ხარჯი	10 225
საკომუნიკაციო მომსახურების ხარჯი	11 314
სხვა საერთო ხარჯები	142 355
სულ სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	709 857

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტს არ გააჩნია ინფორმაცია კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

ფინანსური რისკების მართვა კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს

შპს მერიდიან ექსპრესი

მსს ფასს ის მიხედვით მომზადებული ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართული ლარი)

საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო პარტნიორებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება.

შემდგომი მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.